ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

N 98
30/10/2015

98-08-4-201510301717

განკარგულება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში არსებული მდგომარეობის შესწავლის დავალების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალში“ შემავალი საბავშვო ბაღების მდგომარეობის შესწავლის მიზნით, ეთხოვოს მუნიციპალიტეტის გამგებელს შესაბამის სამსახურებთან ერთად გაეცნოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში არსებულ მდგომარეობას, დასახოს ღონისძიებები არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად და საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინოს ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების შესახებ.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე ჭავჭავაძის ქ.N4-ში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა